პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 166 (9326)

სამშაბათი 15 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნებისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილეთა მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამერვე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა რუსთავის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე 1952 წლის 13 ივლისს (მე-2 გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგებას (მე-2 გვერდი).
სახალხო ზეიმი რუსთავში (მე-3 გვერდი).
მოსკოვის სახელობის არხის 15 წლისთავი (მე-3 გვერდი).

მოსკოვი, კრემლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დღევანდელი დღე დიდი და სასიხარულო დღეა ქართველ მეტალურგთა ქალაქის—რუსთავის ცხოვრებაში.

ჩვენ, რუსთავის მშენებლები და მეტალურგები, შევიკრიბეთ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის თქვენი ძვირფასი და საყვარელი სახელის მიკუთვნებისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ყველა მუშათა, ოსტატთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა სახელით მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, მშვიდობის მედროშეს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს.

თქვენი სახელი, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ აქ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უკაცრიელ რუსთავის ველზე, თქვენი ინიციატივით გაჩაღდა გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც განასახიერებს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის აყვავებას.

თქვენი მამობრივი ზრუნვისა და დახმარების მეოხებით, დიდი რუსი ხალხის ძმური მხარდაჭერით, რუსთავში მოკლე ვადაში შეიქმნა დიდი მეტალურგიული ქარხანა და ახალი სოციალისტური ქალაქი.

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქარხანა, რომელიც ორ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ჩადგა ჩვენი ქვეყნის მოქმედ მეტალურგიულ საწარმოთა რიგში, ყოველთვიურად ადიდებს ფოლადისა და ნაგლინის წარმოებას.

ასრულებენ რა თქვენს მითითებებს კადრების აღზრდის შესახებ, ათასობით ახალგაზრდა ქართველი მუშები, გუშინდელი კოლმეურნენი, წავიდნენ ჩვენი ქვეყნის უდიდეს საწარმოებში, რათა დაუფლებოდნენ მეტალურგიული წარმოების სპეციალობებს. დღეს ეს ახალგაზრდა მუშები მტკიცედ დგანან მარტენის ღუმელებთან, საგლინავ დაზგებთან, ენერგეტიკულ აგრეგატებთან და თავიანთ ძალღონესა და შეძენილ ცოდნას ახმარენ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც თქვენ საბჭოთა მეტალურგებს დაუსახეთ იმისათვის, რომ ლითონით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

რუსთავის მეტალურგთა და მშენებელთა შორის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია თქვენმა მისალმებებმა მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგებისადმი. საბჭოთა მეტალურგების მოწინავე რაზმებისადმი მიმართული თქვენი გულთბილი სიტყვები მოგვიწოდებენ კიდევ უფრო ბეჯითი და შეუპოვარი მუშაობისაკენ ტექნიკის დასაუფლებლად და ლითონის წარმოების გასადიდებლად.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენ მიერ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, რომ ბევრი შესაძლებლობა და რეზერვი გვაქვს იმისათვის, რათა სამშობლო იღებდეს რუსთავის მეტ ფოლადსა და ნაგლინს.

სამეურნეო წლის მეორე ნახევარში ჩვენ შევეცდით მტკიცე სურვილით — მივაღწიოთ ჩვენი ახალგაზრდა ქალაქის მშენებლობის ტემპების შემდგომ დაჩქარებას, გავაუმჯობესოთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, უზრუნველვყოთ გეგმით გათვალისწინებული ყველა სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტის ამუშავება დადგენილ ვადებში.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი 1952 წელს გეგმის გადამეტებით ლითონისა და ნაგლინის გამოშვების, წლიური გეგმის ვადამდე განაღდების შესახებ ღირსეულად და მთლიანად შევასრულოთ.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ შეგვაიარაღა უაღრესად სრულყოფილი ტექნიკით, და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უნარიანად ვმართოთ ეს ტექნიკა, მთლიანად გამოვიყენოთ იგი და ვაიძულოთ უკეთ ემსახუროს კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით, ღირსნი ვიყოთ თქვენი დიდი სახელისა, რომელსაც ამიერიდან ჩვენი ქარხანა ატარებს.

პირობას გაძლევთ მთავრობის მიერ დასახულ ვადებში დავამთავროთ ქარხნის მშენებლობა სრული მეტალურგიული ციკლის მიხედვით, ლამაზი და კეთილმოწყობილი გავხადოთ ჩვენი ახალგაზრდა ქალაქი.

რუსთავის მეტალურგები ბეჯითად იშრომებენ იმისათვის, რომ ღირსეული ადგილი დაიკავონ საბჭოთა მეტალურგების, კომუნისტური საზოგადოების მოწინავე მშენებლების არმიის რიგებში.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

# ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამერვე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამერვე ტომი.

თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამერვე ტომში შედის ვ. ი. ლენინის ის ნაწარმოებნი, რომლებიც მის მიერ დაწერილია 1918 წლის 29 ივლისიდან 1919 წლის მარტის დამდეგამდე, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირველ პერიოდში.

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი — წიგნი „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“. ამ ნაწარმოებში ლენინი ავითარებს მოძღვრებას საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ, იძლევა საბჭოთა დემოკრატიის, როგორც კლასობრივი საზოგადოების დროს დემოკრატიის უმაღლესი ტიპის, ანალიზს, აშკარავებს ძირეულ წინააღმდეგობას საბჭოთა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის და ამხილებს კაუცკისა და II ინტერნაციონალის სხვა ბელადების ოპორტუნიზმსა და ლაქიობას იმპერიალისტების წინაშე. საბჭოთა დემოკრატიის დახასიათებასა და ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიტიკას ლენინი იძლევა აგრეთვე მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებშიც, რომლებიც ქვეყნდება ამ ტომში: „დემოკრატიისა“ და დიქტატურის შესახებ“, „წერილი ამერიკელ მუშებს“, „წერილი ევროპისა და ამერიკის მუშებს“, „მოპოვებული და ჩაწერილი“, აგრეთვე თეზისებსა და გამოსვლებში, რომლებიც მიძღვნილია III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებისადმი.

ტომის შინაარსის მეტ ნაწილს შეადგენენ ლენინის მოხსენებანი და სიტყვები მუშათა კრებებზე, საბჭოების, პროფესიული კავშირების ყრილობებზე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, რკპ (ბ) მოსკოვის საქალაქო კონფერენციის და სხვა ორგანიზაციების სხდომებზე.

ცენტრალური საკითხი ამ გამოსვლებისა, რომლებიც ასახავენ ლენინის, როგორც პარტიის ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, მოღვაწეობას, არის სოციალისტური სამშობლოს დაცვის და წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარების ორგანიზაცია, მისი ზურგის განმტკიცების ამოცანა.

მთელი რიგი ნაწარმოებნი ეძღვნება სოფლად სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხებს. ამას ეკუთვნის: „წერილი ელეცის მუშებს“, მიმართვა „ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!“, სიტყვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 6 ნოემბერს, სიტყვა მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატებისადმი 1918 წლის 8 ნოემბერს და სიტყვა საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1918 წლის 11 დეკემბერს.

ცნობილ სტატიაში „პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღსარება“ ლენინი აყენებს საშუალო გლეხობასთან შეთანხმების, კავშირის ლოზუნგს, რომელიც შემდეგ დაადასტურა პარტიის VIII ყრილობამ.

სიტყვაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 6 ნოემბერს, მოხსენებაში წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრებაზე 1918 წლის 27 ნოემბერს და სხვა ნაწარმოებებში ლენინი ასაბუთებს რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულებას წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ამ დემოკრატიის შემობრუნებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს სოციალისტური მშენებლობის საქმეში ინტელიგენციის, ძველი სპეციალისტების ჩაბმის გზებს.

„წერილში ამერიკელ მუშებს“, სიტყვაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების VI ყრილობაზე 1918 წლის 8 ნოემბერს, სიტყვაში მუშათა კოოპერაციის III ყრილობაზე 1918 წლის 9 დეკემბერს, სიტყვაში პრესნიას რაიონის მუშათა კონფერენციაზე 1918 წლის 14 დეკემბერს, რომლებიც პირველად ქვეყნდება მთლიანად, და ბევრ სხვა დოკუმენტში ლენინი ამხილებს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმს, რომელიც მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად არ ერიდება სუსტ ხალხთა ჩახშობას და ევროპის კულტურის დანგრევას.

ოცდამერვე ტომში შეტანილია 19 ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში. მათი უმეტესობა წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა პროექტებს, აგრეთვე წერილებსა და დეპეშებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ტომში შესულ ნაწარმოებებთან.

დოკუმენტები: ბარათი ი. ბ. სტალინს სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის გამო და ი. ბ. სტალინის პასუხი ამ ბარათზე, დეპეშა ი. ბ. სტალინსა და ფ. ე. ძერჟინსკის გლაზოვში, დეპეშები სამარის ოლქის უკრაინელებსა და უფის გუბრევკომს, ხელმოწერილი ერთად ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ, აგრეთვე დეპეშა მთავარსარდალს სერპუხოვში ლენინის ხელმოწერით, ი. ბ. სტალინის ხელით დაწერილი, — ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიად თანამეგობრობას ქვეყნის თავდაცვისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საკითხებისადმი მიძღვნილია: „მისალმება წითელ არმიას ყაზანის აღების გამო“, „წერილი ყაზანის აღებაში მონაწილე წითელარმიელებს“, დეპეშები ვ. ვ. კუიბიშევს და მეთაურთა შემადგენლობის პეტროგრადის კურსებს.

პროექტში დეპეშისა „დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ“ და სიტყვაში საბჭოების, ღარიბთა კომიტეტებისა და რკპ (ბ) რაიონული კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე 1918 წლის 8 დეკემბერს ლენინი იძლევა დირექტივას მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების შესახებ.

დოკუმენტებში: „რსფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი“, „პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო კონტროლის გამოყენების შესახებ“, „სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს“ და წერილში „განათლების სახალხო კომისარიატს“ საბიბლიოთეკო საქმის დაყენების საკითხზე — ასახულია ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა საბჭოთა და კულტურული მშენებლობის დარგში.

ტომში პირველად არის შეტანილი აგრეთვე „დეპეშა დეპუტატთა ყველა საბჭოს, ყველას, ყველას“, გერმანიაში რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით, პროექტი თეზისებისა „პროფკავშირთა ამოცანების შესახებ“, პროექტი სრულიად რუსეთის ცაკის რეზოლუციისა „ქვეყნის თავდაცვის ძირისგამომთხრელი მენშევიკური გაზეთის დახურვის შესახებ“ და „საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რადიოტელეგრამის პროექტი“. (საქინფორმი).

## პ უ რ ი  ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს

**წითელწყარო.** (სპეც. კორ.). დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი. წითელწყაროელებმა უკვე რამდენიმე ათასი ჰექტარი პურეული მომკეს.

მოწინავე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება გააჩაღეს მკის პირველი დღიდანვე. დაწინაურდა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს“ წითელწყაროს მიმღებ პუნქტს უკვე ჩააბარა 658 ტონა მაღალხარისხოვანი ხორბალი, წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 303 ტონა, სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ — 355 ტონა, სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 321 ტონა. სახელმწიფოს ასეულ ტონობით პური ჩააბარეს აგრეთვე სოფელ ქვემო ქედის, სოფელ არბოშიკის, და სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობებმა.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება კარგად მოაწყეს სოფელ მირზაანის მე-18 პარტყრილობისა და მალენკოვის სახელობის, არხილოსკალოს კიროვის სახელობის და საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებმა.





ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელის მიკუთვნებასთან დაკავშირებით კვირას, 13 ივლისს, ქალაქ რუსთავში გაიმართა მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი. **სურათზე:** ქალაქ რუსთავის მშრომელები მიტინგზე. მარცხნივ, ტრიბუნაზე სიტყვას ამბობს ცნობილი მეფოლადე ამხ. ზ. კვახაძე. (მიტინგის ანგარიში მოთავსებულია მესამე გვერდზე).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა რუსთავის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე 1952 წლის 13 ივლისს

ამხანაგო მეტალურგებო და ქალაქ რუსთავის მშენებლებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით მოგილოცავთ დიდ, სასიხარულო ამბავს — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნებას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დღევანდელი დღე ბრწყინვალე, დაუვიწყარ თარიღად შევა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, მისი სოციალისტური ინდუსტრიის ისტორიაში.

ეს დღე მუდამ მოსაგონარი იქნება რუსთავის მეტალურგებისა და მშენებლებისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის, როგორც ახალი დიდმნიშვნელოვანი მიჯნა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის გზაზე.

ამ სასიხარულო მოვლენას ჩვენ აღვნიშნავთ იმ ვითარებაში, როცა ჩვენი მძლავრი სამშობლოს ხალხები ახალ გამარჯვებებს აღწევენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს ყველა კუთხეში მხურვალე პატრიოტულ გამოხმაურებას პოულობს კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობებიდან მოსული ამბები.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, აღფრთოვანებით მიესალმება ისტორიულ მოვლენას — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** დიადი სტალინური მშენებლობების პირმშოს შემქმნელთა მიერ მოპოვებული ეს გამარჯვება განასახიერებს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძალასა და ძლიერებას, მშვიდობიან მისწრაფებებს საბჭოთა ადამიანებისას, რომლებიც სტალინის გენიას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის უდიდესი, ყოველდღიური დახმარების მეოხებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით საქართველო გადაიქცა სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვილი და უაღრესად განვითარებული ინდუსტრიისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნეთ ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების ოცდახუთი წლისთავი. ლენინის სახელობის ზაჰესი საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო იყო. ამ მეოთხედ საუკუნეში გავლილია უდიდესი გზა. დღეს ჩვენში კაშკაშებს არა მარტო ზაჰესის, არამედ ბევრი დიდი ჰიდროელექტროსადგურისა და თბოელექტროსადგურის შუქი, აღმართულია მრავალი და მრავალი ახალი დიდი ქარხნისა და ფაბრიკის მილები, გიზგიზებენ ჩვენი სიამაყის, ჩვენი ინდუსტრიის მშვენების — სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელები.

დღეს საბჭოთა საქართველო ჩვენს დიდ ქვეყანას — საბჭოთა კავშირს სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ფოლადს, ნაგლინს, ფეროშენადნობებს, ავტომობილებს, მიწისმწოვ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და საფეიქრო დაზგებს, მარგანეცს, ქვანახშირს, ცემენტს, მარმარილოს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, კონსერვებს და ბევრ სხვა მრავალფეროვან სამრეწველო პროდუქციას.

საქართველო ამიერიდან სახელგანთქმულია არა მარტო უაღრესად განვითარებული მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობით, რომელიც საბჭოთა კავშირს სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ჩაის, ყურძენს, თამბაქოს, ციტრუსოვანთა პროდუქციას, არამედ როგორც განვითარებული მეტალურგიის მქონე რესპუბლიკაც.

წელს ათვისებულია მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ახალი სახის ნაკეთობათა წარმოება.

თუ რა ძლიერ იზრდება საქართველოს ინდუსტრია და მისი ეროვნული ბოლშევიკური კადრები, რომლებიც მზრუნველობით აღზარდეს ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ, ამის მაჩვენებელია საბჭოთა საქართველოს საწარმოების მიერ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების წარმატებით შესრულება.

კომუნიზმის დიად მშენებლობებზე სულ უფრო მატულობს იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც მომზადებულნი არიან ჩვენს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის ყველა ხალხთა შვილებთან ერთად ისინი ღირსეულად ასრულებენ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის საპატიო დავალებებს. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოში შავი მეტალურგიის, პირველ რიგში ფოლადისა და ნაგლინის წარმოების შექმნა და განვითარება ქართველი ხალხის დიდი გამარჯვებაა.

ამას ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს პირადად ჩვენს დიდ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს — ამხანაგ სტალინს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი



ამხ. ა. ი. მგელაძე ტრიბუნაზე

სტალინი შავი მეტალურგიის, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლის, განვითარებას.

მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, ინდუსტრიალიზაციის ყრილობაზე, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ლითონი ჩვენი მრეწველობის საფუძველთა საფუძველია...“

1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, ამხანაგმა სტალინმა ამოცანად დაგვისახა 60 მილიონ ტონამდე ავიყვანოთ ჩვენს ქვეყანაში ფოლადის ყოველწლიური წარმოება.

დღეს ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსთავის მეტალურგები თავიანთი შრომით უკვე მონაწილეობენ ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამ ბრძოლაში მათი მონაწილეობის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1950 წლის აპრილი, როცა რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველად გამოადნო ქართული ფოლადი. მას შემდეგ ქარხანა ყოველთვიურად ზრდის ფოლადის წარმოებას, ადიდებს თავის ხვედრით წონას ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ მრეწველობაში.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია მეტალურგიის ისეთი ტიტანების შექმნა, როგორიც არიან მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის კომბინატები, დაკავშირებულია მთელი ჩვენი შავი მეტალურგიის ზრდა და ტექნიკური პროგრესი. ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ დიდი სტალინის ძვირფას და საყვარელ სახელთან დაკავშირებულია ჩვენი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის—ჩვენს ქვეყანაში ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის ერთ-ერთი პირმშოს შექმნაც.

ჩვენს დღევანდელ სიხარულში შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ამ მიტინგზე შევიკრიბეთ იმ ადგილას, სადაც სულ რაღაც 6-7 წლის წინათ უკაცრიელი ველი იყო.

აქ, ამ ველზე, შორეულ წარსულში იდგა ძველი ქართული ქალაქი რუსთავი. ისევე როგორც საქართველოს ბევრ სხვა ქალაქს, მას არაერთხელ გმირულად მოუგერიებია უცხოელ დამპყრობთა ურდოების შემოსევა, დაუცავს საქართველოს დამოუკიდებლობა და ღირსება.

ჩვენი ახალი, სოციალისტური ქალაქი-რუსთავი ძველი რუსთავის ნანგრევებზე აღმოცენდა. ქართველი ხალხის ღონისძიებებით რუსთავი ახალი, სოციალისტური ცხოვრებისათვის აღორძინდა და ამჟამად განასახიერებს ახალ საქართველოს, მისი ხალხის თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

საქართველო ძველი და დიდი კულტურის ქვეყანაა. ამაზე მეტყველებს მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი, არქეოლოგიური გათხრების შედეგები, საქართველოში ნამყოფი მრავალი მოგზაურის ჩანაწერები.

ძველთაგანვე ცნობილი იყო, რომ საქართველოში იმ დროისათვის მაღალ დონეზე იდგა სხვადასხვა ლითონების მოპოვება და გამოდნობა.

ამხანაგებო! რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობა 1944 წლის დამლევს დაიწყო ამხანაგ სტალინის ინიციატივით.

განვლილ პერიოდში მშენებლებმა და მემონტაჟეებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს. ზედიზედ დგებოდა მწყობრში მეტალურგიული ქარხნის ჯერ დამხმარე, შემდეგ კი ძირითადი საამქროებიც, შენდებოდა ახალ საცხოვრებელ შენობათა კორპუსები, იქმნებოდა ახალი ქუჩები.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დავალებით უდიდეს დახმარებას უწევდა მებრძოლი ლენინელი, სტალინელი ჩვენი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა სახელმწიფომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე ტექნიკით შეაიარაღა. საკმარისია ითქვას, რომ ბლუმინგი, რომელიც დადგმულია რუსთავში და რომელმაც ნაგლინის მოცემა დაიწყო 1950 წლის შემოდგომაზე, ომისშემდგომი პირველი საბჭოთა ბლუმინგია, რომლის შექმნისათვის კონსტრუქტორთა და მემონტაჟეთა ჯგუფს სტალინური პრემია მიენიჭა.

დამხმარე საამქროებით დაწყებული და საგლინავი დაზგებით დამთავრებული, რუსთავში ყველაფერი შედეგია იმ უკანასკნელი მიღწევებისა, რაც მოპოვებულია საბჭოთა მძიმე მანქანათმშენებლობაში, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი შავი მეტალურგიის წინსვლას.

მაგრამ რუსთავი განთქმულია არა მარტო თავისი მდიდარი მეტალურგიული ტექნიკით, იგი განთქმულია თავისი ადამიანებით — მუშებით, ოსტატებით, ინჟინრებით, ტექნიკოსებით, მშენებლებითა და მეტალურგებით, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან უახლეს ტექნიკას, რითაც ისინი შეაიარაღა ჩვენმა ქვეყანამ.

ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნება უდიდესი პატივია, უმაღლესი ნდობაა, რომელიც უნდა გავამართლოთ პრაქტიკული საქმეებით ლითონის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხვედრითი წონა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უდიდესია. ამას მოწმობენ 1952 წლის პირველი ნახევრის შედეგები. ლითონის წარმოება გასულ წელთან შედარებით ბევრად გადიდდა.

ამხანაგებო! თუმცა საბჭოთა საქართველოს მრეწველობა წარმატებით ძლევს მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მაგრამ ამჟამად ჩვენ ახალი, უფრო მკაცრი საზომით ვუდგებით ჩვენი შრომის შედეგების შეფასებას. ასეთივე საზომით ვუდგებით რუსთავის მეტალურგთა და მშენებელთა მუშაობასაც.

მთლიანად საქართველოს მრეწველობის გასული ნახევარი წლის შედეგები ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა, მთელი რიგი ჩამორჩენილი დარგები და ჩამორჩენილი საწარმოები. ამ თვალსაზრისით ვაფასებთ წლის პირველი ნახევრის შედეგებს მეტალურგიული წარმოების გაჩაღებაშიც და ქალაქ რუსთავის მშენებლობის დარგშიც.

უნდა ითქვას, რომ მშენებელთა კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია რუსთავის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტების ასამოქმედებლად. მიუხედავად ამისა, კიდევ დიდი სამუშაოები მოგველის. მშენებლებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, განსაკუთრებით საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის დარგში.

საჭიროა უკეთ მოვკიდოთ ხელი ქალაქ რუსთავის მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს. ჩვენ გვსურს სანიმუშო ქალაქად ვიხილოთ ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი რუსთავი კეთილმოწყობის მხრივ, მოსახლეობისათვის მაქსიმალური მოხერხებულობის შექმნის მხრივ, არქიტექტურული გაფორმების, სისუფთავის, წესრიგის და მწვანე ნარგავთა სიმდიდრის მხრივ.

ყველა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებისათვის წარმატებითი ბრძოლა არ შეიძლება ჩამოვაშოროთ ლითონის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლას.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ღირსეულად უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რაც მან იკისრა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში.

გასული ნახევარი წლის შედეგები მოწმობენ, რომ მიუხედავად წარმოების ზრდისა, ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ არის საკმაოდ ბევრი სერიოზული ნაკლი და გამოუყენებელი რესურსები. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ძირითად და დამხმარე საამქროთა გამართული, რიტმული მუშაობა. მეტალურგთა ამოცანა კი ის არის, რომ ისწავლონ მუშაობა პროდუქციის გამოშვების მტკიცე გრაფიკის მიხედვით.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ქარხანაში ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვის, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელების საკითხებს.

რუსთავის მეტალურგებმა უნდა გაზარდონ ფოლადის აღება ღუმელის კვადრატულ მეტრ ქვედზე, გაადიდონ ღუმელის მუშაობის ხანგრძლივობა, უფრო სრულად გამოიყენონ საგლინავი დაზგები, დაზოგონ ნედლეული და მასალები, თვითეული დნობა სრულწონიანი და ჩქაროსნული გახადონ.

მაგრამ, ამხანაგებო, უნდა გვახსოვდეს — ყველა დნობა ჩქაროსნული რომ გავხადოთ, ამისათვის საჭიროა ძალიან ბევრი და ბეჯითი მუშაობა ცოდნის შემდგომი ამაღლებისათვის, ფართოდ უნდა მოვაწყოთ მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოვაგვაროთ წარმოების ზუსტი თანამოქმედება, გზა დავუხშოთ ყველა სახის წუნსა და დანაკარგს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მუშაობაში დაშვებული ოდნავი ნაკლოვანებანი და შეცდომები დაუყოვნებლივ ახდენენ გავლენას პროდუქციის თვითღირებულებაზე, იწვევენ მის გაძვირებას. ჩვენ კი გვინდა, რომ რუსთავის ფოლადი არა მარტო ჩინებული იყოს თავისი თვისებებით, არა მარტო სულ მზარდი რაოდენობით ვუშვებდეთ მას, არამედ გვინდა ისიც, რომ მისი წარმოება განუწყვეტლივ მიდიოდეს თვითღირებულების შემცირების გზით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება 15 წელი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სტახანოველთა ისტორიული მიღებიდან კრემლში. ამ თათბირზე თავის გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა დიდად აამაღლა მნიშვნელობა ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელებისა, ცხადყო, ხალხის რა უდიდესი ნდობით არიან ისინი აღჭურვილნი. ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საშუალო და პატარა ხელმძღვანელთა მნიშვნელობას.

„ისინი, ეს პატარა და საშუალო ხელმძღვანელები, ჩვენ ათიათასობით გვყავს,—ამბობდა ამხანაგი სტალინი. — ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან, ისინი არ მიძვრებიან წინ, ისინი თითქმის შეუმჩნეველი არიან, მაგრამ სიბრმავე იქნებოდა ვერ შეგვემჩნია ისინი. ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც“.

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და ქალაქ რუსთავის მშენებლობაზე შექმნილია წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა მრავალრიცხოვანი რაზმი. ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. მათ უნდა ვამჩნევდეთ, ისინი მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვუქმნიდეთ საჭირო პირობებს მუშაობაში.

ინჟინრები, ტექნიკოსები, უფროსი ოსტატები და ოსტატები, საამქროების უფროსები და ცვლების უფროსები, სამუშაოთა მწარმოებლები, ბრიგადირები — ესენი არიან კადრები, რომლებთანაც ყოველდღიურად უნდა ვმუშაობდეთ, ვეხმარებოდეთ მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში, განვუმტკიცებდეთ ქარხნის სიყვარულსა და პატრიოტიზმს.

შეიძლება არ დავეჭვდეთ იმაში, რომ თუ საქალაქო პარტიული კომიტეტი, მეტალურგიული ქარხნის დირექცია და მშენებლები უფრო კარგად იმუშავებენ კადრებთან, აღზრდიან მათ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, საბჭოთა კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, ეს კადრები ძლიერ წასწევენ წინ საქართველოში მეტალურგიული წარმოების განვითარების საქმეს.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარება არა მარტო რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმეა, არამედ ყველა ჩვენგანის, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმეც არის.

საჭიროა, რომ საქართველოს მეტალურგები, რომლებიც რესპუბლიკის ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იმყოფებიან, ყოველდღიურად გრძნობდნენ ყველა ჩვენი რესპუბლიკური ორგანიზაციის ზრუნვასა და დახმარებას.

ამ საზეიმო და სასიხარულო დღეს ჩვენ აქ, მიტინგზე, ვხედავთ ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. ეჭვი არ არის, რომ ქალაქ რუსთავის — ქართველ მეტალურგთა ქალაქის ზრდა ჩვენი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსებისათვის იქნება შემოქმედებითი აღფრთოვანების წყარო საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიისა და ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისადმი მიძღვნილ მაღალიდეურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

დღევანდელი დღე ჩვენთვის დღესასწაულია. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნება გვავალებს ვიმუშაოთ უფრო კარგად, დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

ამხანაგებო! სიტყვა მივცეთ ჩვენს საყვარელ სტალინს, რომ დღეს ვიმუშავებთ უკეთ, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით, ხვალ კი ვიმუშავებთ უკეთ, ვიდრე დღეს ვმუშაობთ, რომ ქართველ მეტალურგთა სახელოვანი კოლექტივი მუდამ იქნება ლითონისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. **(მხურვალე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. მიტინგის მონაწილეთა პატრიოტული შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები მიესალმებიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგებას

## უნგრეთი

უნგრეთის ყველა გაზეთმა მოათავსა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ და ბრძანებულება არხისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ. „საბად ნეპი“ მოწინავე სტატიაში წერს:

ვოლგა-დონის არხისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნებამ სიამაყის გრძნობა აღუძრა მთელი მსოფლიოს ყველა ხალხს. ისინი აღფრთოვანებით მიესალმებიან არხის მშენებლებს — მუშებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებსა და მეცნიერ მუშაკებს, სიხარულითა და სიამაყით მიესალმებიან საბჭოთა კავშირს, რომელიც ახლა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელი გახდა ასეთი დიადი სამშვიდობო მშენებლობა. ეს სტალინური ქმნილება ღირსია დიდი ლენინის სახელისა.

კომუნიზმის ეს დიადი მშენებლობა, ნათქვამია სტატიაში, ძალას მატებს არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ ყველა ხალხსაც, რომელსაც მშვიდობა უყვარს. მსოფლიოს ხალხები, მათ შორის უნგრელი ხალხიც, რომლებსაც ეს მშვენიერი მაგალითი აღაფრთოვანებს, კიდევ უფრო მეტ ძალღონეს ახმარენ დიადი საერთო მიზნისათვის — მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლას.

## ჩეხოსლოვაკია

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრების ამბავი მოედო ჩეხოსლოვაკიის ყველა ქალაქსა და სოფელს და გამოიწვია უდიდესი სიხარული საბჭოთა ხალხის ახალი შესანიშნავი გამარჯვების გამო.

ორნახევარი საუკუნეა, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის რადიოს გადაცემაში, რაც რუსი ხალხი ოცნებობს ვოლგისა და დონის შეერთებაზე. მაგრამ ასეთი გიგანტური ნაგებობის შექმნა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ბადალი არ მოეპოვება, შეეძლო მხოლოდ თავისუფალ საბჭოთა ადამიანს, რომელიც კომუნიზმის ბჭესთან დგას.

არხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისთვისაც, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიისათვის — მშვიდობის ბანაკის ამ ყველაზე დასავლეთი ქვეყნისათვის. ისტორიაში პირველად ჩეხოსლოვაკიას პირდაპირი სანაოსნო კავშირი ექნება მოსკოვთან, ლენინგრადთან და სხვა საბჭოთა ქალაქებთან. უნგრეთისა და რუმინეთის გავლით ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო ნაწარმით დატვირთული გემები დუნაით ივლიან ვოლგის ნავმისადგომებისაკენ. ვოლგა-დონის არხში პირველად გაემართებიან საბჭოთა გემები, დატვირთული უზბეკური ბამბით, ურალის მადნით, მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნების მანქანებითა და მოწყობილობით ჩეხოსლოვაკიის სოციალიზმის მშენებლობათათვის, ჩეხოსლოვაკიაში დაპროექტებული ოდრა-დუნაის არხის აგებისათვის. ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ამუშავებით, რომელსაც ამიერიდან დიდი ლენინის სახელი ეწოდება, განხორციელდა ხუთი ზღვის შეერთების და გრანდიოზული სანაოსნო მაგისტრალის შექმნის სტალინური გეგმა. ამ არხის ნაპირებიდან გზები ზღვებით მიდის მსოფლიოს ყველა ნაწილში. ეს ის გზებია, რომლებითაც ვრცელდება ამბავი, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერი ცხოვრებისათვის.

## პოლონეთი

პოლონეთის საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრების შესახებ.

სარეკორდო მოკლე ვადაში ვოლგა-დონის სანაოსნო არხის და ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის და სარწყავ ნაგებობათა მშენებლობა, წერს „ტრიბუნა ლიუდუ“, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდესი მიღწევაა, იგი ცხადყოფს საბჭოთა წყობილების უპირატესობასა და ძლიერებას.

იმ მომენტში, როცა ომის ამერიკელი გამჩაღებლები და მათი სატელიტები ომის ისტერიას აღვივებენ და გამალებულ შეიარაღებას ეწევიან, რითაც გაჭირვებაში აგდებენ თავიანთ ხალხებს, იმ დროს, როცა იმპერიალიზმის იდეოლოგები აცხადებენ თეორიას, რომ ადამიანებს აქვთ მხოლოდ ერთადერთი გზა, „დაბალი რასების“ მოსპობისა და ომის გზა, საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს მშვიდობიანი შრომის დიდ ტრიუმფს, განთავისუფლებული ადამიანის ტრიუმფს ბუნების ძალებზე.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, წერს დასასრულ „ტრიბუნა ლიუდუ“, საუკეთესოდ გამოხატავენ საბჭოთა კავშირის სტალინურ მშვიდობიან პოლიტიკას, ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკას, მშვიდობის განმტკიცებისა და საყოველთაო უშიშროების პოლიტიკას.

# სახალხო ზეიმი რუსთავში

— ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას დიდი სტალინის სახელი მიეკუთვნა! — ეს სასიხარულო ცნობა ქართველ მეტალურგთა ქალაქში, მთელ რესპუბლიკაში ელვის სისწრაფით გავრცელდა და ყველგან მშრომელთა უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია.

გიგანტური ქარხნის საამქროებში, სამშენებლო მოედნებზე ადამიანები მხოლოდ ერთ რამეზე ლაპარაკობენ. ისინი სიამაყითა და სიხარულით აცხადებენ, რომ მშობლიური ქარხნისათვის კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნება უდიდესი ღირსება და პატივია, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს მათ სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

— საამაყო და სასიხარულოა იმ ქარხანაში მუშაობა, რომელიც ამიერიდან დიდი სტალინის სახელს ატარებს. ვიმუშავებთ ისე, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის! — პატრიოტული აღფრთოვანებით აცხადებენ რუსთავის მეტალურგები და მშენებლები.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა საბჭოთა საქართველოს სიამაყეა. სწორედ ამიტომ არის, რომ რუსთავის მშრომელთა უსაზღვრო სიხარულს მთელი ქართველი ხალხი იზიარებს.

ქართველ მეტალურგთა პატრიოტული აღფრთოვანება და სიხარული კიდევ უფრო მეტი ძალით აზვირთდა კვირას, 13 ივლისს. ამ დაუვიწყარ დღეს ახალი რუსთავის ახლადდამთავრებულ ცენტრალურ მოედანზე შედგა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნებისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი საერთო-საქალაქო მიტინგი.

დილიდანვე ქალაქმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო. მეტალურგიული გიგანტის საამქროებზე, ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზე, მეტალურგთა ახლადაგებულ სახლებზე ფრიალებენ წითელი ალმები. სადღესასწაულოდ გამოიყურება რუსთავის მშვენება—ცენტრალური პროსპექტი.

...დილის 11 საათისათვის ცენტრალურ მოედანზე რუსთავის ათასობით მშრომელმა მოიყარა თავი. მოვიდნენ სტუმრები ჩვენი რესპუბლიკის გულიდან — თბილისიდან. გაისმის სასულე ორკესტრის საზეიმო ჰანგები. ყველას თვალი მიპყრობილია ტრიბუნისაკენ, რომელიც საზეიმოდ არის მორთული. ტრიბუნის ზემოთ მოჩანს ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტი, მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტები. უზარმაზარ ტრანსპარანტებზე ელვარებს დიდი ასოებით გამოყვანილი საყოველთაო-სახალხო მისალმების სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“.

12 საათია. საზეიმო მიტინგი იწყება. ტრიბუნაზე არიან ამხანაგები: ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. მელქაძე, ვ. ბაქრაძე, ქ. ციმაკურიძე, ა. კოჭლავაშვილი, ქ. ბუჯიაშვილი, მ. ბალავაძე, შ. გეთია, მ. მეგრელიშვილი, გ. ზედგინიძე, გ. გეგეშიძე, ნ. გომელაური, ნ. გიორგაძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. მირცხულავა, ჩქაროსნული დნობის ოსტატი ზ. კვახაძე, მინისტრები, მეტალურგიული ქარხნისა და მშენებლობის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

მიტინგს ხსნის საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე. იგი პირველ სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. მგელაძეს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან.

ამხ. ა. მგელაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით რუსთავის მეტალურგებს მხურვალედ ულოცავს დიდ სასიხარულო მოვლენას — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნებას.

მიტინგის მონაწილეებმა არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ამხ. ა. მგელაძეს ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციებით დიდი სტალინის პატივსაცემად. დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხ. ა. მგელაძის დასკვნითს სიტყვებს, როცა იგი დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადე, ჩქაროსნული დნობის ოსტატი ამხ. ზ. კვახაძე.

— ამხანაგებო! რუსთავის მეფოლადეები,—ლაპარაკობს ამხ. კვახაძე, — უსაზღვრო სიხარულს გამოვთქვამთ ჩვენი მშობლიური ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნების გამო.

რუსთავის მეტალურგიული გიგანტი, რომელიც დიდი სტალინის ინიციატივით აშენდა, ორ წელზე მეტია, რაც პროდუქციას იძლევა. ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი გაბედულად სძლევს სიძნელეებს და ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური დახმარებით ახალ წარმატებებს აღწევს საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ქართველი მეტალურგები ფოლადის დნობის ტექნიკას რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში დავეუფლეთ. მოძმე რუსი და უკრაინელი მეფოლადეები ჩვენ გვასწავლიდნენ საქმისადმი სიყვარულს, ფოლადის დნობის რთული საწარმოო პროცესის ყველა თავისებურებას და საიდუმლოებას. სწორედ ამით მივაღწიე იმას, რომ პირველივე დნობა ჩქაროსნული მეთოდით განვახორციელე. რუსთავის მეფოლადეები დიდი ყურადღებით გავეცანით ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ ცნობილი ნოვატორი მეფოლადის ს. იაკიმენკოს მუშაობის გამოცდილებას და გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება თვითეული დნობის ჩქაროსნული მეთოდით განხორციელებისათვის.

მიმდინარე წლის მარტში ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში ჩვენ ვიკისრეთ ვადამდე შევასრულოთ წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით გამოვადნოთ რვა ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი. ჩვენი ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად, მარტენის საამქროს მეფოლადეები თავდადებით ვიბრძვით ამ ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

შენდება და მშვენდება ჩვენი მშობლიური ქალაქი რუსთავი. საბჭოთა ადამიანების პატრიოტულმა შრომამ რუსთავის მიწა კვლავ გააცოცხლა და ბაღად აქცია. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს მშობლიურ და ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

ჩვენი ქარხანა დიდი სტალინის სახელობისაა. ეს სასიხარულო ცნობა ახალი საწარმოო აღმავლობისაკენ მოგვიწოდებს. რუსთავის მეფოლადეები კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას იმისათვის, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ ღირსეულად ატაროს დიდი სტალინის სახელი.

სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველს ამხ. ნ. გიორგაძეს.

—მეტალურგიული გიგანტის მრავალრიცხოვანი მშენებლები,— ამბობს იგი,— მეტალურგებთან და რუსთავის ყველა მშრომელთან ერთად უდიდეს სიხარულს განიცდიან იმის გამო, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას დიდი სტალინის სახელი მიეკუთვნა.

რუსთავის მშენებლობა ამხანაგ სტალინის პირადი მითითებითა და ინიციატივით დაიწყო. მშენებლებს ყოველდღიურ დახმარებას უწევდა და უწევს დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლ. ბერია. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მშენებლებმა მოკლე დროში ააგეს მეტალურგიული გიგანტი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში.

მშენებლები თავიდანვე გამსჭვალული იყვნენ დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით. ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნება კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას. შემდეგ ამხ. გიორგაძე ჩამოთვლის იმ ობიექტებს, რომლებიც წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს.

ჩვენ, მშენებლები, დიდ ვალში ვართ მეტალურგების წინაშე საბინაო მშენებლობის ჩამორჩენის გამო; სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მშენებლობის ხარისხი. ჩვენი ვალია გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. მეტალურგებს უნდა ავუგოთ ყოველმხრივ კეთილმოწყობილი, არქიტექტურულად ლამაზი და ნათელი სახლები. ამ ვალდებულებას ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ.

სიტყვას ამბობს მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს უფროსი ოპერატორი ამხ. ე. ხარჩენკო.

— დღევანდელი დღე, — ამბობს ამხ. ხარჩენკო, — ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი, ყველაზე სასიხარულო დღეა რუსთავის მეტალურგების ცხოვრებაში. უდიდესი სიხარულით შევიტყეთ, რომ ჩვენს ქარხანას ამხანაგ სტალინის სახელი მიეკუთვნა.

რუსთავში 1950 წელს ჩამოვედი ტაგანროგიდან. მუშაობის დაწყებისთანავე შემიყვარდა მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი, მისი მჩქეფარე ცხოვრება, მისი ადამიანები, რომლებსაც ბეჯითი შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მილნამზადის საამქროს ის ცვლა, რომელშიც მე ვმუშაობ, საწარმოო დავალებას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ნაგლინს იძლევა. მაგრამ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრი შრომა დაგვჭირდება, რომ ქარხანამ მიაღწიოს გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენს ხელთ არსებული მთელი ტექნიკური შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას. ჩვენს შემდგომ მუშაობაში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. უნდა აღმოვფხვრათ წუნი მუშაობაში, მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული, სათბობი, მასალები, ელექტროენერგია, ვიმუშაოთ უფრო ყაირათიანად, გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია.

ჩვენი ქარხნისათვის მშობლიური სტალინის სახელის მიკუთვნების აღსანიშნავად ვკისრულობ ვადამდე შევასრულო წლიური გეგმა, მნიშვნელოვნად შევამცირო წუნი, პროდუქციის თვითღირებულება და აღვზარდო მილნამზადის საამქროს ახალგაზრდა ოპერატორთა კადრები.

სიტყვა ეძლევა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ამხ. ნ. გომელაურს. იგი ამბობს:

—უდიდეს სიხარულს განიცდის ყველა ჩვენგანი, ქალაქ რუსთავის ყველა მშრომელი, მთელი ქართველი ხალხი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნების გამო. ეს ჩვენთვის დიდი პატივი და ღირსებაა.

საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინის მითითებით 1944 წელს, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში, დაიწყო რუსთავში უდიდესი მეტალურგიული ქარხნისა და სოციალისტური ქალაქის მშენებლობა. ქართველი ხალხის გმირული შრომით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მეტალურგიული გიგანტი უმოკლეს ვადაში აშენდა. აგებულია მეტალურგთა სოციალისტური ქალაქი, რომელიც დღითიდღე ფართოვდება, უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება.

ქართველმა მეტალურგებმა მცირე დროში აითვისეს სხვადასხვა მარკის ხარისხობრივი ფოლადისა და მრავალი პროფილის ნაგლინის წარმოება. ჩვენთვის საამაყო და სასიხარულოა, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის ბევრი საწარმო რუსთავიდან იღებს ასეულ ათასობით ტონა ქართულ ფოლადს, ქართული ფოლადი ხმარდება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ვასრულებდით რა დიდი სტალინის ბრძნულ მითითებას კადრების გადამწყვეტი როლის შესახებ, ჩვენ მოვამზადეთ და აღვზარდეთ ტექნიკას დაუფლებული, მაღალი საწარმოო კულტურის მქონე მეტალურგები. გუშინდელი ქართველი კოლმეურნეები, რომლებსაც არ ენახათ და სრულიად არ იცნობდნენ მეტალურგიულ წარმოებას, დღეს ფოლადის დახელოვნებული მდნობელები და ლითონის გლინვის ოსტატები არიან. ქარხანაში მაღალნაყოფიერ შრომას ეწევა სტახანოველებისა და დამკვრელების მრავალრიცხოვანი გვარდია, რომელიც თავის რიგებში ორიათას ხუთას კაცზე მეტს ითვლის. ბევრმა ჩვენმა სტახანოველმა, ისეთებმა, როგორიც არიან ფოლადის მდნობელები: ვ. გიგიბერია, ნ. სამცოვი, გ. სიგუა, შ. კუხალეიშვილი, რ. ცაბუტაშვილი, ი. ლაზარიაშვილი, ვ. ფირცხალავა, მგლინავები: ი. მეტრეველი, ე. ხარჩენკო, ვ. კირვალიძე, ვ. იმნაძე, მ. ამბოკაძე და სხვები, მამაცური, სამშობლოს საკეთილდღეო შრომით ფართოდ გაითქვეს სახელი.

ქარხნის კოლექტივმა ბეჯითი შრომით 109 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა, შევასრულეთ ფოლადის გამოშვების გეგმაც, მაგრამ ჩამოვრჩით ნაგლინის წარმოებაში. ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებაში. ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნება რუსთავის მეტალურგებს გვავალებს გავასამკეცოთ ენერგია, მივაღწიოთ ახალ, მძლავრ შრომითს აღმავლობას, ბოლშევიკური პირდაპირობით აღმოვფხვრათ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გავზარდოთ ფოლადისა და მაღალხარისხოვანი ნაგლინის წარმოება.

დიდია ჩვენი სიხარული, ასევე დიდია ჩვენი პასუხისმგებლობაც. ქარხნის კოლექტივის სახელით მტკიცე სიტყვას ვაძლევ პარტიას და მთავრობას, რომ რუსთავის მეტალურგები თავდადებული შრომით მიაღწევენ ახალ საწარმოო აღმავლობას და ღირსეულად ატარებენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელს.

სიტყვით გამოდის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის წარჩინებული მემანქანე ც. მიბჩიანი.

— საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, — აცხადებს იგი, — მტერთა ურდოებისაგან მრავალგზის დანგრეულ რუსთავში სიცოცხლის განახლებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში გახდა შესაძლებელი. სიცოცხლე ზეიმობს რუსთავში, რადგან სტალინის მზე ათბობს და ანათებს მთელ ჩვენს ქვეყანას.

ჩემი მშობლიური სოფელი სვანეთის მაღალი მთების კალთებზეა გაშენებული. სტალინის სიბრძნემ სვანეთის მიუვალ მთებშიც შეანათა. ჩვენ, ქალებს, სტალინურმა კონსტიტუციამ მოგვანიჭა დიადი უფლება: მამაკაცებთან თანაბრად ვიშრომოთ და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ახალი, კომუნისტური ცხოვრების მშენებლობაში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროში ორთქლმავლის მემანქანედ ვმუშაობ და ჩემი წვლილი შემაქვს ქართული ფოლადის წარმოების საქმეში. ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 140-150 პროცენტით ვასრულებ. ამიერიდან ჩვენ კიდევ უკეთესად უნდა ვიმუშაოთ.

„სოიუზპრომკატმონტაჟის“ ზეინკალთა ბრიგადის მოწინავე ბრიგადირი პ. აბალდუევი აცხადებს:

—რუსთავში ქალაქ ხარკოვიდან მოვედი. ვამაყობ იმით, რომ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქში ჩემი მონაწილეობით დამონტაჟდა ბლუმინგის, მილნამზადისა და მილსაგლინავი საამქროების მრავალი აგრეგატი და მოწყობილობა.

ჩვენმა ბრიგადამ მიმდინარე წლის ივნისის გეგმა 164 პროცენტით შეასრულა, ივლისის დავალებას კი 200 პროცენტით გავანაღდებთ. ჩვენი მეტალურგიული ქარხნისათვის ბელადის სახელის მიკუთვნებასთან დაკავშირებით ჩემი ბრიგადა ვალდებულებას იღებს იმუშაოს ისე, რომ დიდმა სტალინმა თქვას: „ყოჩაღ, მემონტაჟეებო!“.

მგზნებარე სიტყვას ამბობს სტალინური პრემიის ლაურეატი, პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი:

—საბჭოთა ხალხი, — ამბობს პოეტი, — აღფრთოვანებულია დიადი გამარჯვებებით, რომლებსაც იგი ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აღწევს. მთელი ჩვენი ქვეყანა გაახარა ცნობამ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრებისა და მისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დღეს უდიდესი სიხარულით ვზეიმობთ იმის გამო, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას ჩვენი დიდი მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელი მიეკუთვნა.

შემდეგ ი. გრიშაშვილი კითხულობს ლექსს „სტალინი რუსთავში“.

სტალინ! სტალინ! ხალხთა მამავ, საყვარელზე საყვარელო,
სულ სხვა ეშხით იმზირება დღევანდელი საქართველო.

საქართველო... ათასგვარი ჭირვარამის დამნახველი,
გაივსო და გაიზარდა საბჭოეთის მძლავრი ხელით.

განა ვინმე იფიქრებდა, ასე ჩქარა, ასე მალე,
რვალის ჯავშანს ჩაიცვამდა ეს შიშველი არემარე!

ქართულ ფოლადს, ქართულ რკინას სახელმწიფო ძალა ჰქვია...
და რუსთავიც, — ვის ეგონა, — ინდუსტრიის ქალაქია!

* * *

შენ გვაჩვენე სასწაული არასოდეს არ ნახული,
წარბს აჰხრი და ჩვენს წინაშე ჩამოდგება გაზაფხული.

შენ მიეცი ფოლადს ძალა, თვით ფოლადო, სტალინ! სტალინ!
წარბს აჰხრი და ხეივნებად გაიშლება მაგისტრალი.

აქ რუსთავი, იქ სამგორი... ვოლგამ დონი შეიერთა,
ვინ დათვალოს ზღვის უბეში მარგალიტი ყველა ერთად!

და იქ, სადაც არ ჰყვაოდა ბაღ-ვენახი, ფსტა და ნუში,
შენ ყამირის ნაოჭებში ლაჟვარდები ჩამოუშვი!

* * *

ლექსს გიწერ და გულსაც ვატან, განა მარტო სიტყვებია,
შენს მოძღვრებას თაობები ალტაცებით მიჰყვებიან.

დროშა ლენინ-სტალინისა მუდამ ასე იფრიალებს,
გადაღმიელ ქვებუდანებს დაუბრმავებს ელამ თვალებს.

მართალია, მტერი შორით იმუქრება, ირქინება,
მაგრამ ჩვენი ქედის მოხრა არც იყო და არც იქნება!

გაუმარჯოს გამარჯვებულს, დღეგრძელობა სტალინს მარად —
მტრების გულის მოსაკლავად, ჩვენი ხალხის გასახარად.

მიტინგის მონაწილენი ხშირად აწყვეტინებდნენ პოეტს ლექსის კითხვას აღფრთოვანებული ოვაციებით დიდი სტალინის პატივსაცემად.

მიტინგის ყველა მონაწილე უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა წინადადებას იმის შესახებ, რომ მისასალმებელი წერილი გაეგზავნოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს. დიდხანს გრიალებს ტაში მისასალმებელი წერილის ტექსტის მოწონების ნიშნად და დიდი სტალინისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გამოსახატავად.

ამით დასრულდა საზეიმო მიტინგი.

* * *

მიტინგის შემდეგ რუსთავში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა. დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს რუსთავის მეტალურგებმა 1952 წლის 13 ივლისის ისტორიული დღე.

# მოსკოვის სახელობის არხის 15 წლისთავი

1931 წლის 15 ივნისს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი სტალინის ინიციატივით მიიღო ისტორიული დადგენილება ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობის შესახებ. ხუთი წლის შემდეგ, 1937 წლის 15 ივლისს შედგა არხის საზეიმო გახსნა, და მეორე სტალინური ხუთწლედის ეს პირმშო მოქმედ ნაგებობათა მწყობრში ჩადგა.

„ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობის დამთავრებით; — აღნიშნავდა მთავრობის მიერ გამოყოფილი მიმღები კომისია თავის აქტში, — საბჭოთა კავშირმა მოიპოვა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ქვეყნის მეურნეობის ძირეულ რეკონსტრუქციაში და შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა მსოფლიოში“. არხი აგებულ იქნა უმაგალითოდ მოკლე ვადაში საბჭოთა მუშებისა და სპეციალისტების მიერ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დახმარებით, მთლიანად ჩვენივე მასალებისაგან.

არხის მშენებლობაზე დიდი ხანია ოცნებობდნენ. 1722 წელს პეტრე პირველის დავალებით დაიწყო საძიებო სამუშაოები და შედგენილ იქნა არხის ტრასის ოთხი სხვადასხვა ვარიანტი. განვლო რამდენიმე წელიწადმა, და როგორც იქნა 1825 წელს შეუდგნენ ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობას ჯარისკაცებისა და რამდენიმე ათასი ყმა-გლეხის ძალებით. ნიკოლოზ პირველის შავბნელი რეჟიმის წლებში სანახევროდ გაყვანილი არხის მშენებლობა შეწყვიტეს მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით. არხის ცალკეული ნაგებობანი და შეძენილი მიწები გაყიდულ იქნა საჯარო ვაჭრობით.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი რუსი ხალხის სანუკვარი ოცნების — ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობის — განხორციელება. ეს არხი უკანასკნელ ხანებამდე პირველ ადგილზე ითვლებოდა მსოფლიოში მდინარეთა შემაერთებელ სანაოსნო არხებს შორის და ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა საერთოდ ზღვების შემაერთებელ სანაოსნო არხებს შორის.

ვოლგა-მოსკოვის არხი ერთნახევარჯერ აღემატება პანამის არხს, რომლის სიგრძე 81 კილომეტრია. იგი ხასიათდება სამუშაოთა თითქმის იმავე მოცულობით და ტექნიკურად გაცილებით უფრო რთულია პანამის არხთან შედარებით, რადგან შეიცავს უამრავ ხელოვნურ ნაგებობებს და მექანიკურ მოწყობილობას. ვოლგა-მოსკოვის არხი, მართალია, რამდენადმე მოკლეა სუეცის არხზე, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება მას როგორც სამუშაოთა მოცულობით, ისე ტექნიკური სირთულით.

არხზე აგებულია 240 ნაგებობა, მათ შორის 11 კაშხალი, 8 ჰიდროელექტროსადგური, 11 რაბი, 5 სატუმბავი სადგური, 19 რკინიგზისა და საავტომობილო ხიდი, მრავალი ნავმისადგომი, წყალსაგდები, გვირაბი, საავტომობილო გზატკეცილები და რკინიგზები, ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები და ა. შ. საკმარისია ითქვას, რომ მშენებლობის განსახორციელებლად მოზიდული მასალებით დატვირთული ვაგონების საერთო სიგრძე ეტოლებოდა მანძილს მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე. მარტო წყალსაცავებს 42 ათასი ჰექტარი ფართობი უკავია, ხოლო ყველა ნაგებობათა მიერ დაკავებული ფართობი 55 ათას ჰექტარს აღემატება.

ვოლგაზე სოფელ ივანკოვოსთან აგებულია კაშხალი, რომელმაც წყლის დონე აწია 17 მეტრით და შექმნა 1,1 მილიარდი კუბმეტრი მოცულობის უზარმაზარი წყალსაცავი „მოსკოვის ზღვა“. წყალსაცავის „სარკე“ ორჯერ აღემატება რევოლუციამდელი მოსკოვის ტერიტორიას. ივანკოვოს წყალსაცავიდან იწყება არხი, რომლითაც გემები ხუთი რაბის გავლის შემდეგ 40 მეტრით მაღლა ადიან, რათა წყალგამყოფზე არსებულ წყალსაცავს მიაღწიონ და შემდეგ ოთხი რაბის გავლით მდინარე მოსკოვის კალაპოტში გადავიდნენ. ვოლგის მხრიდან აგებული ხუთი სატუმბავი სადგური აწევს წყალს არხის ყველაზე მაღლა მდებარე უბანს, ხოლო მოსკოვის მხრიდან წყალის ვარდნა გამოყენებულია ჰიდროელექტროსადგურებისათვის, რომლებიც ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს აწვდიან სატუმბავ სადგურებს. ამრიგად, წყალის მძლავრი ნაკადი სატუმბავი სადგურებისა და ჰიდროსადგურების გავლით მდინარე ვოლგიდან მოედინება მდინარე მოსკოვის აუზში.

მოსკოვის სახელობის არხი უდიდესი კომპლექსური ნაგებობაა. იგი ერთდროულად წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის—მოსკოვის მომარაგება სასმელი წყალით, მდინარეების ვოლგისა და მოსკოვის შეერთება სანაოსნო მაგისტრალით, მდინარე მოსკოვისა და მისი შენაკადების სანიტარულ-კულტურული მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება და სხვ.

არხის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა დედაქალაქის მომარაგება სასმელი წყალით. ამ მიზნით სოფელ პუშკინოს რაიონში შექმნილია წყალსაცავი, რომელშიც ვოლგის წყალი ჩვეულებრივ სამი თვის განმავლობაში იწმინდება ორგანული და მინერალური ნივთიერებებისაგან. გაივლის რა ჰიდროსადგურის ტურბინებში, წყალსაცავიდან წყალი 28 კილომეტრი სიგრძის არხით მიედინება სტალინსკაიას სატუმბავ-საწმენდ სადგურამდე, საიდანაც მთელი რიგი სატუმბავი სადგურების, სალექრების, ფილტრების, სათადარიგო რეზერვუარების გავლისა და სათანადო ქიმიური დამუშავების შემდეგ უერთდება მოსკოვის საქალაქო წყალსადენის ქსელს.

მოსკოვის სახელობის ანუ ვოლგა-მოსკოვის არხი ღრმა სანაოსნო მაგისტრალით აერთებს მოსკოვს ვოლგასთან, ბალტიის, თეთრ, კასპიის, შავ და აზოვის ზღვებთან. ამრიგად, ქალაქი მოსკოვი გადაქცეულია ხუთი ზღვის ნავსადგურად. თუ რა დიდია ამ უზარმაზარი სამდინარო-სატრანსპორტო ქსელის მასშტაბი, შეიძლება წარმოვიდგინოთ იმით, რომ მარტო ვოლგისა და მისი 70 სანაოსნო შენაკადის სამდინარო გზის საერთო სიგრძე 10 ათას კილომეტრს აღემატება. ამ სისტემის სატრანსპორტო მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგება კომუნიზმის კიდევ ერთი დიადი მშენებლობა—თურქმენეთის მთავარი არხი. ეს უკანასკნელი მდინარე სირ-დარიისა და ამუ-დარიის აუზებში მყოფ შუა-აზიის რესპუბლიკებს და არალის ზღვას სანაოსნო გზით დააკავშირებს ჩვენი ქვეყნის დასავლეთ რაიონებთან.

მოსკოვის სახ. არხით დაიწყო ვოლგაზე უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა. განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე ვოლგაზე აგებულია უგლიჩისა და შჩერბაკოვის (რიბინსკის) ჰიდროელექტროსადგურები უდიდესი წყალსაცავებით. შჩერბაკოვის წყალსაცავის ზედაპირი ონეგის ტბის ნახევარს აღემატება, ხოლო მისი მოცულობა 25 მილიარდ კუბმეტრს შეადგენს. ამჟამად ვოლგაზე მიმდინარეობს მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ქ. გორკის რაიონში, ხორციელდება კომუნიზმის დიად ნაგებობათა — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით ზეიმობს სტალინური ეპოქის უდიდესი ძეგლის — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრებას, იგი სიამაყით აღნიშნავს თავისი ერთერთი, მნიშვნელოვანი ისტორიული გამარჯვების თარიღს—მოსკოვის სახელობის არხის გახსნის 15 წლისთავს.

გ. სვანიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## საერთაშორისო კინოფესტივალზე კარლოვი ვარში

**კარლოვი ვარი**, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ საერთაშორისო კინოფესტივალზე კარლოვი ვარში დაიწყო ფილმების დათვალიერება. პირველი აჩვენეს ცნობილი საბჭოთა მხატვრულ-ისტორიული ფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი“, რომელიც აღგვიდგენს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცელს.

სურათის ჩვენების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის თვალსაჩინო პოლიტიკური, საზოგადო და კულტურული მოღვაწენი, საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენელნი, კინოფესტივალზე ჩამოსული კინომუშაკთა დელეგაციები, მშრომელნი, რომლებიც კარლოვი ვარში ისვენებენ. ხალხის დიდმა ჯგუფებმა მოიყარეს თავი იმ შენობის წინ, სადაც ფილმს უჩვენებდნენ.

ფილმის დემონსტრაციამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დაუვიწყარ კადრებს, რომლებშიც აღბეჭდილია მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახე, მაყურებლები დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. ფილმის დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა ხანგრძლივი ოვაცია გამართეს.

## საბჭოთა ფილმის „მუსორგსკის“ წარმატება არგენტინაში

**ნიუ-იორკი**, 12 ივლისი. (საკდესი). ბუენოს-აირესის (არგენტინა) ორ კინოთეატრში რამდენიმე დღეა უჩვენებენ საბჭოთა ფილმ „მუსორგსკის“. დარბაზები მუდამ ხალხით არის გაჭედილი.

არგენტინის გაზეთებმა „ელ ლიდერმა“, „ლა პრენსამ“, „ლა ნასიონმა“, „კლიარინმა“ და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ ფილმს. გაზეთები აღნიშნავენ ფილმის ისტორიულ სიმართლეს, საბჭოთა აქტიორებისა და მუსიკოსების შესანიშნავ ოსტატობას, კინემატოგრაფიული ტექნიკის მაღალ დონეს.

## ოლიმპიური ასპარეზობა ფინეთში

### ჰელსინკში ჩავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები

**ჰელსინკი**, 12 ივლისი. (საკდესი). მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს ჰელსინკში ჩამოვიდა საბჭოთა სპორტსმენების დიდი ჯგუფი. მათ შორის არიან მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები და მცურავები.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს ვაგზალში შეხვდნენ ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, სასპორტო საზოგადოებრიობა, მრავალი ფინელი და უცხოელი ჟურნალისტი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დესპანი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის სახელით საბჭოთა სპორტსმენებს მიესალმა სპორტის ცნობილი ფინელი მოღვაწე ვიქტორ სმედსი.

# სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების განხილვა ბონის პარლამენტში

## მაქს რაიმანის გამოსვლა

**ბერლინი,** 11 ივლისი. (საკდესი). ორი დღის განმავლობაში ბონის ფედერალური პარლამენტი განიხილავდა ბონის სეპარატულ ხელშეკრულებას და ეგრეთწოდებულ ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ, რომლებსაც „კანცლერმა" ადენაუერმა ხელი მოაწერა გერმანელი ხალხის ნების წინააღმდეგ.

მთავრობის პარტიების დეპუტატთა გამოსვლა ასახავდა მმართველი ზედაფენის შიშს იმის წინაშე, რომ სულ უფრო ძლიერდება ხალხის გულისწყრომა ეროვნული გამცემლობის ამ აქტების გამო. ყველა ისინი, მხარს უჭერდნენ რა ხელშეკრულებებს, ცდილობდნენ გონიერების საწინააღმდეგოდ კაბალური ხელშეკრულებანი გაესაღებინათ მშვიდობისა და ერთიანობის მიღწევისაკენ მიმართულ დოკუმენტებად. ისევე როგორც მომხსენებელი ადენაუერი, მთავრობის პარტიათა წევრი დეპუტატები აშინებდნენ მსმენელებს, რომ ხელშეკრულებათა უარყოფას მძიმე შედეგები მოჰყვება.

კაბალურ ხელშეკრულებათა ნამდვილი არსი ამხილეს მხოლოდ კომუნისტმა დეპუტატებმა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა.

ამ ხელშეკრულების პირველი წაკითხვა, თქვა მაქს რაიმანმა, არც ფედერალური პარლამენტის დეპუტატებს, არც საზოგადოებრივ აზრს არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ განიხილონ ამ ხელშეკრულების დეტალები და შეიგნონ მთელი მათი მნიშვნელობა. ფედერალური მთავრობა საეჭვოდ აჩქარებს რატიფიკაციას და სწორედ ორი მიზეზის გამო: ჯერ-ერთი, მას ეშინია საფუძვლიანი დისკუსიისა... რადგან დოქტორმა ადენაუერმა კარგად იცის, რომ საზოგადოებრიობის მიერ ამ ხელშეკრულებათა შინაარსის გაცნობას მოჰყვება ძლიერი აღშფოთება და გულისწყრომა.

მეორე, ფედერალურ კანცლერს სურს ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციით ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომლის დროსაც შეუძლებელი გახდება ოთხი სახელმწიფოს წარმატებითი მოლაპარაკება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. დოქტორი ადენაუერი, განაგრძო ორატორმა, ერიდება თანხმობას სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობაზე, რადგან იცის, რომ ასეთი სრულიად გერმანიის არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ ადენაუერის მთავრობის დამარცხებით დამთავრდება. მას ეშინია ოთხ დიდ სახელმწიფოსა და გერმანიას შორის მოლაპარაკებისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, რადგან მაშინ ვერ განხორციელდება ომისა და სამოქალაქო ომის, „გაუთავისუფლებელი პროვინციების განთავისუფლების", „ევროპაში ახალი წესრიგის" და „ევროპის თვით ურალამდე გაერთიანების" მისი პოლიტიკური კონცეფცია.

„საერთო ხელშეკრულება" და მისი დამატებითი შეთანხმებები და პარიზის ხელშეკრულება ღალატია გერმანელი ერის მიმართ და ამიტომ ფედერალური პარლამენტის დეპუტატებმა უარი უნდა თქვან მის მოწონებაზე. შემდეგ რაიმანი ანალიზს უკეთებს სეპარატული ხელშეკრულების შინაარსს.

ჯერ-ერთი, თქვა მან, „საერთო ხელშეკრულების" შედეგად გერმანიის გათიშვა არა მარტო რჩება, არამედ კიდევაც ღრმავდება და ამავე დროს ცდილობენ გერმანიის გათიშვა მუდმივი გახადონ...

გერმანიის გათიშვა ხელშეკრულების ტექსტში ფორმულირებულია რამდენიმე ადგილას. უკვე პრეამბულაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოთა ერთობლივი მიზანია შეიყვანონ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა „ევროპის გაერთიანებაში, რომელიც, თავის მხრივ, ატლანტიკის გაერთიანებაში შედის".

ყველასათვის გასაგებია, რომ ამ პირობამ შეუძლებელი უნდა გახადოს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება.

ხელშეკრულების ტექსტი, განაგრძო მაქს რაიმანმა, ადასტურებს, რომ როგორც დოქტორ ადენაუერს, ისე სამი სახელმწიფოს რწმუნებულებს არა სურთ ერთიანი და დამოუკიდებელი გერმანია, არამედ სურთ, როგორც კორეაში, „გაუთავისუფლებელი პროვინციების განთავისუფლების გზით" ძალით შეუერთონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლეთ გერმანიას და შეიყვანონ იგი ატლანტიკის პაქტში. ეს პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების პოლიტიკას და მოწოდებულია შეუძლებელი გახადოს ოთხი დიდი სახელმწიფოს შეთანხმება...

„საერთო ხელშეკრულება" ნიშნავს, რომ ადენაუერის მთავრობა უარს ამბობს იმაზე, რომ საარის ოლქი გერმანიას ეკუთვნის...

შემდეგ რაიმანმა განაცხადა: ვინც ბონის სეპარატულ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, „იგი გერმანულ პოლიტიკას ვერ განახორციელებს. ბ-ნმა დოქტორმა ადენაუერმა ამით ხელი მოაწერა იმას, რომ იგი ისეთს არაფერს არ წამოიწყებს, რაზეც არ მიიღებს ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს ერთობლივ თანხმობას; ეს იმას ნიშნავს, რომ ადენაუერი დასავლეთ გერმანიაში ახორციელებს არა გერმანულ, არამედ ამერიკულ პოლიტიკას".

„გერმანიის გათიშვის დატოვებით,—აღნიშნა შემდეგ რაიმანმა,—მიზნად ისახავენ შეინარჩუნონ დასავლეთი გერმანია, როგორც მოკავშირეთა ჯარების პლაცდარმი და ხელი შეუშალონ სრულიად გერმანიის პარტნიორის, ე. ი. გერმანიის მთავრობის შექმნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად.

მეორე ძირითადი ფაქტი, რომელიც ამტკიცებს „საერთო ხელშეკრულების" და მისი დამატებითი შეთანხმებების ანტიგერმანულ და ანტიხალხურ ხასიათს, ის არის, რომ ეს ხელშეკრულება შექმნეს, რათა გააძნელონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, შეუძლებელი გახადონ იგი..."

მესამე, — თქვა მაქს რაიმანმა, — „საერთო ხელშეკრულების" ხასიათს განსაზღვრავს ის, რომ მისი შინაარსის მიხედვით ჩვენმა ხალხმა ხელი უნდა აიღოს თვითგამორკვევის უფლებაზე, თავის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობაზე. ადენაუერი თავის ინტერვიუსა და სიტყვებში მუდამ ცდილობს შეაქოს „საერთო ხელშეკრულება", რადგან იგი თითქოს სუვერენიტეტსა და თანასწორუფლებიანობას უბრუნებს გერმანელ ხალხს. ნამდვილად ამ ხელშეკრულებათა ყოველი მუხლის შინაარსი ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა უარი თქვას სუვერენულ უფლებებზე".

„პარიზის ხელშეკრულება ევროპის არმიის შექმნის შესახებ — აღნიშნა რაიმანმა,—აგრეთვე დამატებითი შეთანხმებანი, განსაკუთრებით დამატებითი შეთანხმება „უცხოეთის შეიარაღებული ძალებისა და მათი წევრების უფლება-მოვალეობის" შესახებ, აგრეთვე ხელშეკრულება ომისა და ოკუპაციის შედეგად წარმოშობილი საკითხების მოწესრიგების შესახებ", არსებითს სუვერენულ უფლებებს ართმევს გერმანელ ხალხს. ამ ხელშეკრულებათა თითქმის ყოველი ცალკე დებულება გერმანელ ხალხს თავს ახვევს ეროვნულ დამონებას. ეს დებულებანი ოკუპანტებისათვის მრავალ პრივილეგიასა და განსაკუთრებულ უფლებებს ქმნიან... ეს მთელი სიცხადით ადასტურებს, რომ ოკუპანტებს სურთ იბატონონ დასავლეთ გერმანიაში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში.

მეოთხე, „საერთო ხელშეკრულება" იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი გერმანია ეროვნულად უნდა დაემონოს და შეუზღუდველად დაექვემდებაროს უცხო იმპერიალისტური სახელმწიფოების თვითნებობასა და ბატონობას. საოკუპაციო რეჟიმი ძალაში რჩება".

„საერთო ხელშეკრულების" თანახმად,—განაგრძო რაიმანმა,—მაოკუპირებელ სახელმწიფოებს ყოველ დროს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ სამხედრო დიქტატურა და „საგანგებო წესების" გამოცხადების შემდეგ ფაქტიურად შემოიღონ საალყო წესები...

„საერთო ხელშეკრულებასა" და დამატებით შეთანხმებებში სამი სახელმწიფო, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, თავისთვის უზრუნველყოფს გადამწყვეტ ეკონომიურ უპირატესობებს..."

„ეს დებულებანი გადამწყვეტ უპირატესობებს უზრუნველყოფენ პირველ რიგში ამერიკის ისეთი მონოპოლიებისათვის, როგორიც არის „ჯენერალ-მოტორსი", „ფორდი" და სხვები...".

ამრიგად, უნდა ითქვას, განაგრძო რაიმანმა, რომ ამ დამატებითი შეთანხმების დებულებათა საფუძველზე უცხოელი კაპიტალისტებისათვის უზრუნველყოფილია გადამწყვეტი პრივილეგიები და დატოვებულია უცხოელთა ჩარევა გერმანიის ეკონომიკაში.

ამ დებულებებს და საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს საოკუპაციო ხარჯების, დაქირავებული სამხედრო შენაერთებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების შესახებ მშრომელი მოსახლეობისათვის მოაქვთ ექსპლოატაციის გაძლიერება, ცხოვრების დონის დაქვეითება, მოკლედ რომ ვთქვათ, მისი სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება.

მეხუთე, „საერთო ხელშეკრულება" ემსახურება იმას, რომ დასავლეთი გერმანია უცხოელთა ინტერესებისათვის გადაიქცეს საომარი მოქმედების პლაცდარმად და ასპარეზად და მისი ადამიანები გამოყენებულ იქნან ჯარისკაცებად.

ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად მხოლოდ მაოკუპირებელი სახელმწიფოები წყვეტენ საოკუპაციო ჯარების განლაგების, რაოდენობისა და დისლოკაციის საკითხებს... ამ შეთანხმებით დადგენილი ხაზის აღმოსავლეთით (ამ ხაზს უკვე ეწოდა სიტყვამოსწრებულად თოფისწამლის ხაზი) ჩვენი სამშობლო უკვე წინასწარ მიჩნეულია მკვდარ ზონად, რომელშიც, თუ ომი იქნა, ყოველივე სულდგმული უნდა მოისპოს „გადამწვარი მიწის" მეთოდით. სახმელეთო ომის წარმოების შესახებ ჟენევის კონვენციის დებულებათა საწინააღმდეგოდ დოქტორმა ადენაუერმა დადო შეთანხმება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ატომური იარაღის წარმოების შესახებ, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ომის შემთხვევაში. ადენაუერის მოთხოვნით ამ იარაღით უნდა აღიჭურვოს გერმანელთა დაქირავებული სამხედრო შენაერთები.

პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებულია დასავლეთ გერმანიის დაქირავებული სამხედრო შენაერთების რიცხობრივი შემადგენლობა და შეიარაღება, აგრეთვე ორგანიზაცია.

რაიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში მყოფი დასავლეთგერმანელი ახალგაზრდობა შეიძლება გამოიყენონ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, გაფიცულთა წინააღმდეგ და სხვ., რითაც კვლავ ჩირქი მოეცხება გერმანელი ერის სახელს. ეს ხელშეკრულება აგრეთვე შესაძლებელს ხდის, რომ უცხოეთის ჯარები გამოიყენონ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის წინააღმდეგ, მუშებისა და ყველა მოქალაქის წინააღმდეგ.

„საერთო ხელშეკრულება" და პარიზის შეთანხმება, განაცხადა მაქს რაიმანმა, ამით უკიდურესად ამწვავებს ევროპაში ომის საფრთხეს, რომელიც ამავე დროს იქნებოდა გერმანელთა წინააღმდეგ გერმანელების ძმათამკვლელი ომი და რომელიც მოხდებოდა გერმანიის ტერიტორიაზე.

გერმანელმა ხალხმა ძალიან კარგად იცის გამოცდილებით, რომ ომი მას მოუტანს მხოლოდ უსაზღვრო უბედურებას და ენით გამოუთქმელ ტანჯვას. მან იცის, რომ ახალ ომს შედეგად მოჰყვება გერმანიის მოსპობა. გერმანელი ხალხისათვის არის მხოლოდ ერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მან იცხოვროს როგორც დამოუკიდებელმა თავისუფალმა ერმა,—ეს არის გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების გზა, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანის გზა.

არსებობს რეალური შესაძლებლობა დავადგეთ ამ გზას, რადგან საბჭოთა კავშირის წინადადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ეყრდნობა იმ დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ აღდგენილ იქნას გერმანიის სუვერენიტეტი და გერმანია როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო...

ფედერალურ პარლამენტს შეუძლია შეასრულოს თავისი ეროვნული მოვალეობა, თუ იგი უარყოფს მოთხოვნას ამ სამარცხვინო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მხოლოდ მაშინ შეუძლია წარმატებით დაიცვას თავისი სასიცოცხლო ინტერესები, თუ იგი აქტიური მოქმედებით აიძულებს ანტიეროვნულ მთავრობას გადადგეს.

გერმანელი ხალხი ჩვენს სამშობლოში ილაშქრებს სამარცხვინო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ. ეს დაამტკიცა ხალხის გამოკითხვამ, ამას ამტკიცებს სახალხო კენჭისყრა, რაც ახლა მიმდინარეობს. გერმანელი ხალხი არ იკისრებს ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე არავითარ ვალდებულებას.

მთელმა გერმანელმა ხალხმა დღეს თვითონ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ხალხის ნების თავისუფალი გამოცხადების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების გზით. დეპუტატებსა და პარტიებს დღეს ისტორია და ჩვენი ხალხი განსჯის არა მარტო ლაპარაკისა და სიტყვების მიხედვით, არამედ მათი მოქმედების მიხედვით, და სწორედ ეს მოქმედება იქნება გადამწყვეტი ამ განსჯის დროს. დღეს არსებობს მხოლოდ ერთი გზა: გერმანელი ხალხის მთელი ძალები დაირაზმოს „საერთო ხელშეკრულების" რატიფიკაციისა და განხორციელების წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობიანი აღდგენისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის. მხოლოდ ეს დარაზმვა და ამ მიზნისათვის ბრძოლა მოუღებს ბოლოს დასავლეთ გერმანიაში მოვლენათა საბედისწერო განვითარებას და უზრუნველყოფს ჩვენი ერის ერთიან, მშვიდობიან და თავისუფალ ცხოვრებას".

# გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენცია

## საბოლოო სხდომა

**ბერლინი,** 12 ივლისი. (საკდესი). დღეს დაამთავრა მუშაობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-2 კონფერენციამ.

უკანასკნელ სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა. თავის სიტყვაში ულბრიხტი დაწვრილებით შეეხო სახელმწიფო, კულტურული და პარტიული მშენებლობის საკითხებს, რომლებიც კონფერენციაზე აღიძრა კამათის მსვლელობაში.

სამანდატო კომისიის ანგარიშის დამტკიცებისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევნების შემდეგ კონფერენციის დელეგატებმა მიიღეს „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-2 კონფერენციის რეზოლუცია თანამედროვე მდგომარეობისა და მშვიდობისათვის, ერთიანობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანების შესახებ".

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ოტო გროტევოლი კონფერენციას დახურულად აცხადებს. კონფერენციის მონაწილენი „ინტერნაციონალს" მღერიან.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

„გერმანიაში ცენტრალური საკითხია საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლა. ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ საოკუპაციო ხელისუფალთა დახმარებით გერმანიის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის აღორძინება და სეპარატული ხელშეკრულების დადება ემუქრება მშვიდობის საქმეს და საფრთხეს უქმნის გერმანელ ერს. ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ ხელში ჩაიგდონ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის მატერიალური და ადამიანთა რესურსები, რათა მოამზადონ და გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი. უარს ეუბნებიან რა გერმანელ ხალხს გერმანიის ერთიანობის აღდგენასა და საზავო ხელშეკრულების დადებაზე, ისინი ცდილობენ მრავალი წლით მოუსპონ მას ერთიანობის აღდგენის პერსპექტივა. დასავლეთგერმანელი მონოპოლისტებისა და მსხვილ მიწათმფლობელთა დახმარებით მათ დაამყარეს ეროვნული დამონებისა და მშრომელთა სოციალური დათრგუნვისა და ჩაგვრის რეჟიმი. ამერიკის იმპერიალიზმის მიერ დასავლეთ გერმანიის დამონება და გაძარცვა შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ბონის ვასალური მთავრობა და დასავლეთგერმანელი მონოპოლისტები, რომლებიც მას ზურგს უმაგრებენ, დაკავშირებული არიან გერმანელი ხალხის უბოროტეს მტრებთან. ბონის ვასალური რეჟიმის დამხობა გერმანიის ერთიანობის აღდგენის წინასწარი პირობაა".

რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი შეეხება ახალი ტიპის პარტიის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას.

# ბერლინში საბჭოთა მეომრების ძეგლი საზეიმოდ შეამკეს გვირგვინებით

**ბერლინი,** 12 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, ამ პარტიის მეორე კონფერენციის დელეგატებმა, უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებმა, რომლებიც კონფერენციაზე ჩამოვიდნენ, გუშინ საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინის ტრეპტოვის რაიონში.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 12 ივლისი (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ფრონტის რამდენიმე უბანზე განაგრძობდნენ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებმაც მხეცურად დაბომბეს ფხენიანი და მისი მიდამოები.

**ფხენიანი,** 13 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე წინანდელ ზღუდეებზე განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე, კოსონის სამხრეთით, მოწინააღმდეგემ არტილერიის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა გააფთრებული იერიში. იერიშები მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგემ ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. წარმოებდა დაზვერვითი მოქმედება.

გუშინ და დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროთა მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმებში.

# ამერიკის ავიაციის თავდასხმა ჩინეთის ქალაქ ანდუნზე

**პეკინი,** 13 ივლისი. (საკდესი). დღეს ცენტრალურმა გაზეთებმა მოათავსეს სინხუას სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის 8 თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა ანდუნს, რის შედეგად ქალაქში მოკლულია 2 და დაჭრილია 47 მშვიდობიანი მცხოვრები. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის მტკიცე პროტესტი ანდუნისათვის ცეცხლის დაშენის წინააღმდეგ.

# ჯოუ ენ-ლაის პროტესტი ამერიკის ავიაციის პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ

**პეკინი,** 13 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გამოაქვეყნა მტკიცე პროტესტი ამერიკის თვითმფრინავების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც შეიჭრნენ საჰაერო სივრცეში ჩინეთის ტერიტორიაზე და მოკლეს და დაჭრეს ჩინეთის მცხოვრებნი. პროტესტში ნათქვამია:

„1952 წლის 11 ივლისს 13 საათსა და 57 წუთზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობიდან 8 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი „F-86" შეიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ანდუნის საჰაერო სივრცეში და სრულიად უსაბაბოდ ატეხა სროლა, რომლის შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა 49 ჩინელი მცხოვრები. ეს არის აშკარა პროვოკაციის ახალი სერიოზული აქტი, რომელიც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ფართო მასშტაბით გამოყენებას ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ სპეციალურად დაამავალა განეცხადო მტკიცე პროტესტი.

მსოფლიოში დაძაბული მდგომარეობის შენარჩუნების, გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო მზადების განგრძობის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დროს მოახდინა აშკარა პროვოკაციული ხასიათის მთელი რიგი აგრესიული აქტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ იგი სრულიად გაუმართლებლად აჭიანურებს მოლაპარაკებას დაზავების შესახებ. მას შემდეგ, რაც ამერიკის ინტერვენციონისტულმა ჯარებმა დაბომბეს სუპუნის ელექტროსადგურები მდინარე იალუძიანზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩინელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, ისინი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და 11 ივლისს ახალი პროვოკაციული აქტი მოახდინეს. ეს სავსებით ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აქვს წინასწარ მოფიქრებული განზრახვა ჩაფუშოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და გააფართოოს თავისი აგრესიული ომი, რათა საფრთხე შეუქმნას მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ამით სპეციალურად და საქვეყნოდ აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აშკარა აგრესიის პროვოკაციულმა აქტებმა ჩინელი ხალხის წინააღმდეგ კიდევ უფრო სერიოზული ვითარება შექმნა შორეულ აღმოსავლეთში. ამ სერიოზული ვითარების შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა დაეკისროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

# ჰიულეტ ჯონსონის დევნა

**ლონდონი,** 12 ივლისი. (საკდესი). „დეილი უორკერის" საპარლამენტო მიმომხილველი კომენტარს უკეთებს კონსერვატორ აირინა უორდის წინადადებას. ჰიულეტ ჯონსონის მიერ იმის მხილებამ, რომ ამერიკელები იყენებენ ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს, უორდი იმდენად გააბრაზა, რომ იგი მოითხოვს ჯონსონის სამართალში მიცემას ვითომდა სახელმწიფო ღალატისათვის.

„უნდა აღინიშნოს, — ამბობს მიმომხილველი, — რომ პარლამენტის წევრ კონსერვატორებს სურდათ სახელმწიფო ღალატისათვის სამართალში მიეცათ და სიკვდილით დაესაჯათ მონიკა ფელტონი, რადგან მან ამხილა ამერიკის ჯარების სამხედრო დანაშაულობანი კორეაში".

## ნეკროლოგი

## პროფესორი გ. პ. ხუციშვილი

ა. წ. [illegible] შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილი.

გ. ხუციშვილი დაიბადა ქ. ბორჯომში 1898 წელს. 1917 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, 1923 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი და მიიღო ექიმის წოდება.

სამი წლის საფუძვლიანი ქირურგიული მომზადების მიღების შემდეგ გ. ხუციშვილი დაეუფლა ყურის, ყელისა და ცხვირის მკურნალობას. იგი მუშაობს ჯერ ორდინატორად, შემდეგ ასისტენტად, ხოლო 1931 წელს ირჩევენ კათედრის გამგედ. 1932 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ და სანიტარულ ფაკულტეტზე კითხულობდა ყელ-ყურისა და ცხვირის დაავადებათა მკურნალობის კურსს.

1935 წელს გ. ხუციშვილს მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება, ხოლო 1946 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში პროფესორი გ. ხუციშვილი ევაკო-ჰოსპიტალის კონსულტანტად მუშაობდა. 1935 წლიდან ითვლებოდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო სანატორიული სამმართველოს პოლიკლინიკის კონსულტანტად, ხოლო 1948 წლიდან ამავე სამმართველოს საავადმყოფოს ყელის, ყურისა და ცხვირის განყოფილების გამგედ.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. ხუციშვილის ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას და მიანიჭეს მას საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება, დააჯილდოეს „საპატიო ნიშნის" ორდენით, ორი მედლით და „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის" ნიშნით.

პროფ. გ. ხუციშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, მათ შორის ყურის, ყელისა და ცხვირის მკურნალობის სახელმძღვანელო, რომელიც ამჟამად იბეჭდება.

გამოჩენილი ექიმის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის პროფ. გ. ხუციშვილის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი**—ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნებისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილეთა მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა რუსთავის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე 1952 წლის 13 ივლისს.

**მეორე გვერდი** — რუსთავის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი.

„პრავდის" 14-VII მოწინავე — საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები.

ი. მეტრეველი, რ. ვანაგელი — საგლინავი ჩარხის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

**მესამე გვერდი** — ა. აგლაძე — ჩაის ფაბრიკებში.

სტალინური პრემიის ლაურეატი ა. მარკოვი თბილისის ჩარხმშენებლებთან.

დ. ნიკოლაიშვილი — მუხრანშენი.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

**რედაქტორი გ. მერკვილაძე**

**თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე:

(თეორიულ-საკომპოზიციოზე, საგუნდო-სადირიჟოროზე, საფორტეპიანოზე, ვოკალურზე (სიმღერა) და საორკესტროზე (სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები).

სასწავლებელში მიიღებიან 14-30 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუსიკალური სკოლა 7-წლედი და საერთო განათლების სკოლის 7 კლასი.

სასწავლებელში შემომსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები: სპეციალობებში, მუსიკის ელემენტარულ თეორიაში, სოლფეჯიოში, ხოლო საერთო განათლების საგნებიდან —ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში და სსრკ კონსტიტუციაში.

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა (დედანი), მუსიკალური სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), საერთო განათლების ცნობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ჯანმრთელობის ცნობა, სამხედრო ბილეთი ან პასპორტი (ადგენენ პირადად) და სამი ფოტოსურათი.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის სამდივნოში ყოველდღე. სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ენგელსის ქ. 14, ტელეფონი № 3-08-02.

**სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი** აცხადებს 1952-53 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას პირველ კურსზე შემდეგ სპეციალობათა მიხედვით: 1) საავეჯო-მექანიკური წარმოება (რუსული სექტორი), 2) ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობა და ექსპლოატაცია (ქართული სექტორი).

ტექნიკუმში მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა. მსურველთა განცხადებების მიღება ჩარიცხვის შესახებ დაიწყო და გაგრძელდება 31 ივლისამდე.

ტექნიკუმში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ა) განცხადება დირექტორის სახელზე ტექნიკუმში გამოცდებზე დაშვების შესახებ, ბ) ავტობიოგრაფია, გ) მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), დ) სამი ცალი ფოტოსურათი, ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ლ) ხელზე უნდა იქონიონ პასპორტი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში; ქართულ სექტორზე—რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვა 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

ის პირები, რომლებმაც ფრიადი აკადემიური წარმატებით დაამთავრეს საშუალო სკოლის 8 კლასის სრული კურსი, პირველ კურსზე ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. ყველა ჩარიცხულ სტუდენტს 1952 წლის 1 სექტემბრიდან დაენიშნება სტიპენდიები. ტექნიკუმდამთავრებულ პირს დამთავრების დიპლომი მიეცემა ხელზე. ის პირები, რომლებიც დაამთავრებენ ტექნიკუმს ფრიადი აკადემიური წარმატებით, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმს აქვს სტუდენტებისათვის კეთილმოწყობილი სასადილო, ხოლო შორეული რაიონებიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლებში ბინით.

მისამართი: ქ. ქუთაისი, მაიაკოვსკის გზატკეცილი, სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი.

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 16 ივლისს

**(რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით).**

06.25 — სიმღერები და მარშები; 07.30 — პოპური პოლონურ თემებზე და ვალსები; 09.20 —რუსული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები; 11.10 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: მიქელაძის პოემა „თეთრი სახლის" რადიოინსცენირება; 18.15 — კონცერტი — საუბარი ციკლიდან — „ქართული ხალხური საგუნდო კულტურა"; 19.20 — ჩაიკოვსკის და რახმანინოვის კამერული ნაწარმოებები; 19.45—გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის — ნარკვევი: „მოწინავე ბრიგადირი მიხეილ ჯულაშვილი".

**რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

20.30 — ქალაქის ქსელით — არიები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან; 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 21.00 — ლექცია „ლენინი და სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზების შესახებ"; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — ამირან აბშილავას მოთხრობა „ერთი სიყვარულის ისტორია"; 22.50 — ბალაკირევის და კიუის სიმფონიური ნაწარმოებები; 00.05 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის პეტრე ამირანაშვილის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — კარმენი (ვ. დავიდოვას მონაწილეობით); **სანკულტურის** — მე შენ მოგნახავ (პრემიერა); **ფილარმონია**—კონცერტი (სურია კაჯარის მონაწილეობით).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის,** „ამირანი" (ზაფხულის, ზამთრის), „თბილისი", „ისანი" (ზაფხულის, ზამთრის), **26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის, ზამთრის) — გამოუცდელი ახალგაზრდები სტადიონზე; **„ოქტომბერი", კიროვის პარკი** — მოპარული ბედნიერება; **ორჯონიკიძის პარკი** — აჯანყება უდაბნოში; **„კოლხიდა"** (ზაფხულის)—ცოცხალი ლეში, (ზამთრის)—ინდოეთში; **„დიდუბე"** (ზაფხულის)—ამბავი ნადირობაზე; **ოფიცერთა სახლი**—ჯამბაზები.

ვარვარა ხტეფანეს ასულმა სეროპიანმა, მცხოვრებმა გორკის ქ. № 12, აღძრა საქმე ქ. ახალციხეში მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ არუთინის-ძე მეიტარჯიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკის და ქალაქის I საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

შვილი ილია, რძალი ლიდა, შვილიშვილი ილიდა გუჯაბიძეები იუწყებიან **ივანე სოფრომის-ძე გუჯაბიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-VII, 6 ს. პლეხანოვის პროსპექტი, 60.

ძმები გრიგოლ, სიმონ, რძალი ელენე, ძმისწული თეიმურაზ, და ციალა ელენტები იუწყებიან **ივანე სოფრომის-ძე გუჯაბიძის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის და რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკის საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილი ლეილა, ძმა გრიგოლ შვილებით, ვენერა და ელეონორა ალასანიები იუწყებიან **იროდი ტაგუს-ძე კალანდიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VII ქ. ზუგდიდში.

ილარიონ, გიორგი, ნინო, ქეთევან ტოგონიძეები, ლილი გელოვანი, გ. ქომეთიანი იუწყებიან სიძის **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

ზუგდიდის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების მუშაკები იუწყებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **იროდი ტაგუს-ძე კალანდიას** გარდაცვალებას.

შვილები ელენე, ნინო, ქსენია, თამარ, ქეთევან, ზინაიდა, სიძეები ვ. გუგუშვილი, ნ. მახათაძე, რ. ქორქია, კ. გელიშვილი, ს. ზერაკიძე, ს. მელქუევი ოჯახებით იუწყებიან **ეფროსინე დიმიტრის ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 6 ს. ბოლო აღმართის, 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02896